ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №06-38
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი --- ნოემბერი 2019 წელი

ერთი მხრივ, სსიპ-ქალაქ თბილისის #74 საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი"), ს/კ **206105150**, წარმოდგენილი მისი დირექტორის მარინე ჯარმელიშვილის სახით და მეორე მხრივ შპს ,,მერი პოპინსი", ს/კ **405162960**(შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის თამარ კაპანაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების გათვალისწინებული შესყიდვის საგანია პირადი ჰიგიენის პროდუქტების და მასტიკის გამარტივებული შესყიდვა ადგილზე მიწოდების უზრუნველყოფით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია პირადი ჰიგიენის პროდუქტების და მასტიკის შეძენა.

N	საქონლის დასახელება	რაოდენ.	ერთ.ფასი	ჯამი
1	ტუალეტის ქაღალდი(1*32)	52	22.50	1170.00
2	თხევადი საპონი(5 ლიტრიანი)	25	10.00	250.00
3	ქაღალდის ხელსახოცები(1*24)	225	2.00	450.00
4	მასტიკა (2ლ)	39	15.90	302.10

CPV-33700000-1870.00ლ; CPV-44800000-302ლ10თ;

3. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება

3.1.შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2. შესყიდვის ობიექტის ჯამური ღირებულება განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების მე-2.1. მუხლის შესაბამისად და შეადგენს **2172ლ10თ**

3.3.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და შეადგენს **ორი ათას ას სამოცდათორმეტი ლარი 10 თეთრი.**

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და მიღება- ჩაბარების წესი.

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 5(ხუთი)დღის ვადაში.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია თბილისი, კაკაბეთის ქ.#2

4.3 შესყიდვის ობიექტი მიწოდება დასტურდება ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

4.4. შემსყიდველის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი თამარ გორგაძე.

5. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი(ვადები) და ადგილი

5.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება საქონლის მიწოდებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10(ათი) დღის განმავლობაში.

5.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

5.3. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

5.4. სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი.

5.5. ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1. შემსყიდველს აქვს უფლება შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

6.2. შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარისსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

6.3. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 5(ხუთი)დღის ვადაში.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%.
7.3. სახელშეკრულებო საქონლის ასორტიმენტზე და მომსახურების არაჯეროვნად შესრულებაზე რეკლამაცია(პრეტენზია)მიმწოდებელს წარედგინება შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ სახელშეკრულებლო საქონლის მიღებიდან 7შვიდი)დღის ვადაში.

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.
8.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
8.3.მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2019 წლის 31 დეკემბრამდე.**
9.2.ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად, რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მომწოდებელი“
სსიპ-ქალაქ თბილისის № 74 საჯარო სკოლა	შპს ,,მერი პოპინსი“
მისამართი; ქ. თბილისი კაკაბეთის 2	მისამართი: ამაღლების ქ. N17
საინდიფიკაციო კოდი; 206105150	საკონტაქტო ნომერი: (597)999910
საბანკო რეკვიზიტები; სს„ლიბერთი ბანკი“	საიდენტიფიკაციო კოდი: 405162960
ბანკის კოდი:LBRTGE22	სს ,,თიბისი ბანკი“
ანგარიშის№ GE32LB0121121092802000	ბაკის კოდი : TBCBGE22
	ა/ა GE48TB7657636080100009
დირექტორი მარინე ჯარმელიშვილი	დირექტორი
---	---